

**Eka Chikvaidze**

ეკა ჩიკვაიძე

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*Georgia, Tbilisi*

*საქართველო, თბილისი*

## **Comparison of Georgian-Byzantine Hagiographic Canons** **ქართულ-ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიულ კანონთა შედარება**

The hagiographic literature in the Georgian language is classified in many ways: translated and original, kimen and metaphrastic, and lives and martyrdoms. From the established point of view, the genesis of Georgian hagiographic models is related to the models developed in the Byzantine literary space and was created by their analogy. On the other hand, there are many different opinions about the beginning of Georgian writing. The following range of issues is discussed: what type of texts is suitable for the term kimen and how homogeneous (or what homogeneity means) the similarity-differences of the models of Georgian original texts and hagiographic texts of the same period.

**Keywords:** Georgian Hagiographic Canon, hagiographic literature

**საკვანძო სიტყვები:**

ჰაგიოგრაფია საეკლესიო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული და ვრცელი ჟანრია, რომელიც ყველა ქრისტიანული ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. ეს ლიტერატურული ჟანრი ავლენს ბიზანტიური ლიტერატურის გავლენას სხვა ქრისტიანული ქვეყნების ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებზე. ის ასევე სხვადასხვა დავალებას უყენებს, ერთი მხრივ, ბიზანტიელ ავტორებს, მეორე მხრივ კი ქართველ ჰაგიოგრაფებს. განსხვავება ასევე ეხება ჟანრის ფორმირების პროცესსაც, რადგან ბიზანტიური ჰაგიოგრაფიისთვის ეს იყო ა. დოკუმენტირებული ჩანაწერები, წამების ქრონიკები, წამების აქტთა მარტივი ჩანაწერები, ბ. ბიოგრაფიები, როგორებიცაა, მაგალითად, პლუტარქეს ბიოგრაფიები, გ. პანეგირიკული ტექსტები და დ. თავად წმინდა წერილი (იოანე ნათლისმცემლის ზილოტური მეუდაზნოეობის, მაცხოვრის უდაბნოში გასვლის თუ ნათლისმცემლის თავისკვეთისა და მაცხოვრის ჯვარცმის გზათა მაგალითებით). ქართული ჰაგიოგრაფიისთვის კი ნიმუში, ეტალონი, ჰაგიოგრაფის ბაძვის განმსაზღვრელი და ორიენტირის საგანი უკვე გზაგაკვალულ-ჩამოყალიბებული ბიზანტიური ჰაგიოგრაფიაა წმიდა წერილთან ერთად (ეს აისახა ე.წ. კიმენურ ჰაგიოგრაფიაში). რაკი ჰაგიოგრაფია, როგორც ლიტერატურული ჟანრი, ბიზანტიური საზოგადოებრივ-კულტურული სივრციდან მოდის, მის წიაღში შექმნილი ტექსტებიც იქცევა ყველა სხვა ქრისტიანული კულტურის ერისთვის ეტალონებად და ეს, ცხადია, ლოგიკურია. მაშასადამე, ქართველ ჰაგიოგრაფს არ სჭირდება კომპოზიციურ-სტრუქტურული მოდელის შემუშავება, ვინაიდან მისი მოდელები და ერთგვარი კანონიკა ბიზანტიელმა ჰაგიოგრაფებმა შექმნეს (ეს ეხება ორივე ქვეჟანრს: როგორც ცხოვრება-მოქალაქობას, ისე – წამებას). ნებისმიერ ქრისტიანულ ქვეყანაში ჰაგიოგრაფს აქვს სამი ამოცანა: შეაგროვოს ყველა მასალა, რომელიც ეხება

თითოეულ წმინდანს, შეაწამოს და შეასწოროს დოკუმენტები ტექსტური კრიტიკის საუკეთესო მეთოდების მიხედვით და შეძლოს მტკიცებულებების ინტერპრეტაცია ლიტერატურული, ისტორიული და სხვა შესაბამისი კრიტერიუმებით. ჩამოყალიბებული სტრუქტურული და კომპოზიციური მოდელების მიღების შედეგად, ქართული ჰაგიოგრაფიისთვის კიმენის ტექსტების გამეტაფრასება დიდწილად სტილისტიკური მიდგომის დინამიკით იყო ნაკარნახევი. მნიშვნელოვანი გახდა სტილისტიკური ერთგვაროვნება და ტექსტების (კიმენურისა და მეტაფრასულის) მაქსიმალურად ურთიერთმიახლოების სურვილი (ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია წმიდა გრიგოლ ხანცთელისა და გრიგოლ საკვირველმოქმედის ცხოვრებათა შედარება და მათი მსგავსების გამოკვეთა). თარგმანის მეთოდოლოგიის განვითარებამ განაპირობა სტილისტიკური და ლინგვისტური მოდელების განვითარება. ეს კონტექსტი მოიცავს გელათელების ენასა და სტილს, ბერძნული გავლენით კონსტრუქციებს და მეტაფრასტიკისთვის დამახასიათებელ ლექსიკურ და მეტაფორულ სისტემებს (მაგალითად, ქართველი მთარგმნელი სარგის თმოგველი ცვლის „ვისრამიანის“ მხატვრულ სისტემას ქართულ მხატვრულ მახასიათებლებზე, ხოლო ჰაგიოგრაფიაში (ბუნებისა და დანიშნულების მიხედვით) დაცულია სისტემების ავთენტური ტიპები, რომლებიც ქართულ გრამატიკაში, იდიომებსა და მეტაფორებში, სტილში აშკარად და ნათლად იკვეთება, როგორც ქანრის მეთოდური სპეციფიკაცია.

**ფორმირების თავისებურებები:** აღსანიშნავია, რომ ქართულ და ბიზანტიურ ისტორიაში ჰაგიოგრაფიული (მოწამეობრივი) ლიტერატურის ფორმირება სხვადასხვა კონტექსტითაა ნაკარნახევი: I-IV საუკუნეებში ეს იყო ქრისტიანთა დევნა წარმართულ რომში. ქართულმა მწერლობამ ასეთი შინაარსის მხოლოდ ერთი ნაწარმოები – „კოლაელ ყრმათა წამება“ იცის. წარმართყოფილი კოლაელი ყრმები გაქრისტიანების გამო წარმართმა მშობლებმა განტვინეს; საკუთარმა ანგარე-ბიანმა მეუღლემ წარმართული სპარსეთის პოლიტიკური მოკავშირეობის გამო აწამა დედოფალი შუშანიკი („წამება წმიდისა დედოფლისა შუშანიკისი“). ამავდროულად, ქართულ ლიტერატურაში ქრისტიანობის წიაღში წარმოშობილი მწვალებლობის წინააღმდეგ მებრძოლი წმინდანები არ არიან არც წამებათა, არც ცხოვრებათა ქვეყანრის მოქმედი პირები; თუმცა მონოფიზიტობასთან ბრძოლა შეიძლებოდა, გამხდარიყო მნიშვნელოვანი თემა ქართველი მორწმუნე საზოგადოებისთვის (რაც, ცხადია, უნდა ასახულიყო ჰაგიოგრაფიულ ტექსტებშიც. დიოფიზიტობა-მონოფიზიტობის საკითხის აქტუალურობის წარმოსაჩენად საკმარისია, გავიხსენოთ სწორედ ამ დოგმატურ საკითხთან დაკავშირებით გამართული დვინის საეკლესიო კრება). ქართული ჰაგიოგრაფიის კონტექსტი განსხვავებულია. ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურისთვის დამახასიათებელია მოწამე, წამებული დამპყრობელი მტრისგან, ან პროზელიტი, წმინდანი, რომელიც დამპყრობელის თვისტომია, მაგრამ ქრისტიანობისთვის ეწამება სწორედ ქართლში (მაგალითად, აბო, მიქელ-გობრონი, ევსტათი მცხეთელი, დავითი და ტირიჭანი...). ეს ქმნის ოპოზიციურ წყვილს გმირისა და ანტი-გმირისა, სადაც გმირი, ცხადია, წმინდანია, ხოლო ანტიგმირი, – არაქრისტიანი და არაქართველი მტერი, დამპყრობელი. შედეგად ქართული ჰაგიოგრაფიის გმირმა სხვა შინაარსი და იდეა შეიძინა: გარდა რელიგიის დაცვისა, მთავარი გმირი ეროვნული იდეების დამცველთან იყო გაიგივებული (მაგალითად, აბოს, მიუხედავად არაბული წარმოშობისა, თბილელი ან ისმაიტელყოფილი ჰქვია. როგორც ჰიმნოგრაფებთან, ისე ჰაგიოგრაფიულ ტექსტში მოწამეობრივი ადგილისა და იდეური მნიშვნელობის გამო; ამავე მიზეზით აბოს ისმაიტელყოფილ ქართველადაც მოიხსენიებენ ჰიმნოგრაფიულ ტექსტებში (მიქაელ მოდრევილის საგალობელი). ეს დეტალი განასხვავებს ქართულ ჰაგიოგრაფიულ მასალებს ბიზანტიურისაგან არა მხოლოდ შინაარსობრივად, არამედ ფუნქციურადაც.

ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში ახალი ერა იწყება სვიმეონ მეტაფრასტის მიერ ტექსტების რევიზირებითა და შესწორება-გარდაკაზმებით. ამ პროცესის შედეგად განხორციელდა სამი მნიშვნელოვანი ცვლილება: 1. გასწორდა ერეტიკოსების მიერ დაზიანებული ტექსტები, 2. შეიცვალა ტექსტების სტრუქტურული და კომპოზიციური მოდელი და 3. გამდიდრდა ენა. შესაბა-

მისად, გამოიყოფა ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის წინამეტაფრასული და მეტაფრასული პერიოდები. უნდა აღინიშნოს, რომ მეტაფრასული ცვლილებების პროცესი ქართული ჰაგიოგრაფიისთვის, ზემოთქმული მიზეზებიდან გამომდინარე, იგივე არ იქნებოდა. ქართული ჰაგიოგრაფია (ორიგინალური ან თარგმნილი), პრე- ან პოსტმეტაფრასული, განსაკუთრებულ გაგებას მოითხოვს. ტერმინი პრემეტაფრასტიკა, რომელსაც დასავლელ მკვლევართა უმეტესობა იცნობს და იყენებს სვიმეონ ლოგოთეტამდე შექმნილი ტექსტებისთვის, არც შინაარსობრივად და არც დროითი კონტექსტით (პერიოდული გაგებით) არ შეესაბამება ქართული ტერმინის, „კიმენის“ ქვეშ მოაზრებულ ტექსტებს. მიუხედავად იმისა, რომ პირველი პერიოდის არც ერთი ჰაგიოგრაფიული ტექსტი არ არის მარტივი არც სტილისტიკურად და არც კომპოზიციურად, ისინი მაინც არ არის დაწერილი მეტაფრასტული სტილით (აბოს წამება, გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება) და, პირიქით, სვიმეონის შესწორებული ტექსტების თარგმანების შემდეგ. მეტაფრასული რედაქციების კვალობაზე უფრო სტრუქტურულად სტილიზებულ თარგმანებს ვხვდებით გრძელი შესავლებით, ლოცვითი ჩანართებით და მძიმე ენით, ვიდრე სიმონის ტექსტებია (ასეთი ვითარება გვაქვს გელათი-იყალთოს აკადემიებში შექმნილ თარგმანებთან დაკავშირებით. მაგალითად, წმ. ბარბარეს წამება ქართულად გვაქვს კიმენური (იერუსალიმური) და ორი მეტაფრასტული რედაქციით. ქართული ტრადიცია ერთ-ერთის ავტორად მიიჩნევს სიმეონ მეტაფრასტს). ამავდროულად, ბიზანტიური სივრცისგან განსხვავებით, კიმენური ან კიმენურად წოდებული (ამ საკითხს ჩვენ არაერთხელ შევხვებთ. მაგ. იხ. საქართველოს უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ჩვენივე სტატია) ტექსტები ხშირად გამოიყენება მეტაფრასტული პარალელურად ქართულ ლიტერატურაში და ხშირად უცვლელადაც. მამასადამე, ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა ჩვენამდე მოღწეული მასალის მიხედვით ვერ იყოფა კიმენურ და მეტაფრასტულ ტექსტებად (ტერმინი კიმენი, როგორც ლიტონი, მარტივი ტექსტების აღმნიშვნელი, ეგზეგეტიკიდან უნდა იყოს დასესხებული და სემანტიკური დერივაციის შედეგად უნდა იყოს მორგებული ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურას, რადგან ლიტონი ტექსტები ჰაგიოგრაფიული ჟანრის ფორმირების პროცესმა გაამხატვრულა, ჟანრის მახასიათებელი ელემენტებით გაამდიდრა). სკილიუმის მარტვილობების მსგავსი მარტივი ტექსტები ქართულმა ჰაგიოგრაფიამ არ ან ვერ შემოგვინახა, ამ თვალსაზრისით გამოწკლისია კოლაელ ყრმათა წამება, რომლის დათარიღებაც აზრთა მნიშვნელოვან სხვაობას იწვევს, თუმცა სტრუქტურულად, კომპოზიციურად და ნარატივის სიმარტივით თუკი რამეს შეიძლება კიმენური ეწოდოს, ეს სწორედ კოლაელთა მარტვილობის აღმწერი ტექსტია. ყველა დანარჩენი აღნიშნული პარამეტრების მიხედვით პრემეტაფრასტულ, მეტაფრასტულ და პოსტმეტაფრასტულ ძეგლებად უნდა მივიჩნიოთ.

**როგორია ჰაგიოგრაფიული ტექსტების სტრუქტურა და არის თუ არა ქართული ჰაგიოგრაფიული კანონი ზოგადი ჩარჩოს მსგავსი?** ზოგიერთ სამეცნიერო ლიტერატურაში განასხვავებენ მოწამეების, განმანათლებლების, იერარქების, ღვთისმოსავი მმართველების, წმინდა მამების, ქრისტესთვის სულელების ცხოვრებებს როგორც ტიპოლოგიით, ისე სტრუქტურით (T.R. Rudy). ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა აღწერს თითოეული წმინდანის ცხოვრებას და მოწამეობას, მაგრამ სტრუქტურული თვალსაზრისით მხოლოდ მოწამეობა და ცხოვრება განირჩევა და ტექსტი მხოლოდ კომპოზიციურ ასპექტში ავლენს განსხვავებას განსაცდელთა, საკვირველქმედებათა, ქრონოტოპის, ნარატივის დინამიკის წარმოჩენის თვალსაზრისით და წინასწარი დასკვნით, სტრუქტურულ განსხვავებას კი ზემოხსენებული ნიშნები ვერ ქმნის. ასეთი დაყოფა და დიფერენცირება ტიპურია, მაგალითად, ქრისტიანული ფრესკული კანონიკისთვის (სადაც მკვეთრად გამოიჯნული, რომელი რანგის წმინდანი როგორი კანონიკური დეტალებით, სამოსით, ფერებით... უნდა გამოისახოს. ქართული ჰაგიოგრაფია, ხატწერისგან განსხვავებით, ამგვარ კანონიკურ სხვაობას ცხოვრება-წამებათა აღწერისას არ იცავს).

გარდა ცხოვრებისა (vita; βίος κα πολιτεία) და აქტებისა (acta ან gesta; მოქმედებები), რომლებიც თავისთავად ბიოგრაფიებია, ბიზანტიანისტიკები განასხვავებენ ცხოვრებებს, რომლებიც ენკომი-

ებიტაა გადმოცემული (βίος τὸν ἔγκαιμ(α), ჩვეულებრივ, ასეთი ენკომიები გამოირჩევა ჭარბი რიტორიკული ფიგურებით და მხატვრული ელემენტებით (ასეთი ენკომია შემორჩენილი გვაქვს აზოს წამების მეოთხე თავის სახით). სადიდებელი სიტყვა (ἔγκαιμ(α)) ჰგავს ზეპირ ქადაგებას, ასევე წმინდანის პატივსაცემად წარმოთქმულ ქადაგებას, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება არა იმდენად ფაქტებზე, რამდენადაც ღვაწლის განზოგადებაზე, საერთო შედეგებსა და მორალურ დასკვნებზე. „ჰაგიოგრაფიულ ჟანრებს შორის საზღვრები არასდროს ყოფილა ძალიან მკაცრი, ამიტომ კონკრეტული ტექსტის სათაური ყოველთვის ადეკვატურად არ ასახავს მის ჟანრულ ბუნებას. ნებისმიერი სახის ჰაგიოგრაფიული წყაროებიდან ისტორიული ინფორმაციის მოპოვება ხშირად მოითხოვს ძალიან რთულ ანალიზს, რადგან ამ ტექსტების ავტორები მიზნად ისახავდნენ არა ინფორმაციის გადაცემას, არამედ გარკვეული სურათის შექმნას“ (დ. ე. აფინოგენოვი). წმინდანის ცხოვრების თხრობა წარმოადგენს ცხოვრებების ძირითადი ნაწილის შინაარსს, რომლებიც ასევე აგებულია გარკვეული მოდელით, ეს მოდელი კი საერთოა როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური ქრისტიანული ტრადიციებისთვის (შესაბამისად, – როგორც ბიზანტიური, ისე ქართული ჰაგიოგრაფიისთვის). ჟანრობრივი მახასიათებლების თვალსაზრისით, წმინდანთა ცხოვრებები ისევე, როგორც ზოგადად ჰაგიოგრაფიული ტექსტები, ერთ-ერთი ყველაზე ფორმალისტულია; ამ ჟანრის მთავარი მახასიათებელია კანონის მიმდევრობა, რომელიც ვლინდება ნაწარმოების ყველა დონეზე – სტრუქტურულ, სტილისტურ, გონებრივ და აზრობრივ, სიმბოლურ-თეოლოგიურ ასპექტებში. სტრუქტურულ დონეზე მხატვრული კანონის მიმდევრობა გამოიხატება ცხოვრების მკაცრი კომპოზიციური სქემის არსებობით; ეს კომპოზიციური სქემა ჟანრად ჩამოყალიბების კვალობაზე იცვლებოდა და, მიუთითებენ, რომ ახლაც იცვლება. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ პირველ ჩანაწერებში შენარჩუნებულია რომაული სისხლის სამართლის პროცესის სამართლებრივი ტონი; ზოგჯერ ზოგიერთი ვნებაც კი მიუთითებს მასზე, რაც გვიჩვენებს, თუ როგორ იყენებდნენ წყაროდ ჩანაწერებს. ჩანაწერების საკონსულო თარიღის შესავალი ფორმულა ინახავს იმპერატორის, გუბერნატორის ან პროკონსულის მითითებას, თუნდაც ისტორიულად მცდარ შემთხვევებში. პროცედურის ფაზები – დაპატიმრება, გამოჩენა, დაკითხვა, წამება, განაჩენი და ტანჯვა – ინარჩუნებს და ადგენს თხრობის სტრუქტურას; ასევე თხრობამ შემოგვინახა პერსონაჟები, ჩვეულებრივ, არცთუ ისე ბევრი, უმველესი ჩანაწერებიდან: მოწამე, მოსამართლე ან მაგისტრატი და ჯალათი; მეორე ადგილზე – ქრისტიანი მაყურებლები, რომლებიც ცოცხლად გადმოსცემენ ახალმოწამის შესახებ ინფორმაციას, და ბოლოს, წარმართთა მტრული მასა. ანალოგიური სქემით ვითარდება ვნებების ევოლუციური პროცესი (IV-XX საუკუნეების განმავლობაში), თანმიმდევრული გამდიდრებებითა და ფორმალური გაუმჯობესებებით, მათ შორის, – ფანტაზიებით, საზოგადო ადგილებით (common places) და შეცდომებით, რომელთა ნაწილის მიზეზი რიგ შემთხვევაში უბირი თვითმხილველი იყო, ხოლო მომდევნო ხანაში – მწვალებელი ან თვითნებურად დამმახინჯებელი გადამწერი.

**სტილისტური თვალსაზრისით**, მნიშვნელოვანია, რომ ჟანრად ჩამოყალიბების კვალობაზე ჰაგიოგრაფიულმა ტექსტებმა განიცადა განვითარება გარკვეული პოეტური საშუალებების გამოყენებისას, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია საზოგადო ადგილები (ე.წ. საერთო ადგილები; loci communes; κοινὰ τόποι) (მაგ. მეთერთმეტე ჟამის მუშაკი, ან აბრაამის მხატვრული სახე რამდენიმე ტექსტში გვხვდება, მაგრამ მათი მნიშვნელობის ველი დინამიკურია და არა სტატიკური, იცვლება, თუმცა თითქოს მდგრადი უნდა იყოს); გონებრივ და სიმბოლურ-თეოლოგიურ დონეზე კანონზე ორიენტაცია აისახება მიბადვის (imitatio) და წმინდა ნიმუშების მიყოლის პრინციპზე. ცხოვრებას, როგორც ქრისტიანული ლიტერატურის ჟანრს, აქვს მკვეთრი სპეციფიკა: ჰაგიოგრაფის მიზანია არა ისტორიულად ზუსტი ბიოგრაფიის გადმოცემა, არამედ წმინდანის ღვაწლის არსის და მარადიული შინაარსის გამოვლენა, წარმოჩენა ღმერთშემოსილი, სრბის აღმსრულებელი, ღვაწლის მომღვაწეად ადამიანისა, რომლის მიწიერი ცხოვრება იყო უკომპრომისო (შიშის, განსაცდელის, ადამიანური ბუნების გამოვლენის ძლევიტ) გზა ღმერთისკენ. ამიტომ, ჰაგიოგრაფი ხშირად შეგნებუ-

ლად ართმევს თავის გმირს ინდივიდუალურ, „მიწიერ“ თვისებებს და ტოვებს მხოლოდ ტიპურსა და „ზეციურს“ მის გამოსახულებაში. ამით აიხსნება სტაბილური, სტატიკური ერთგვარი ლიტერატურული ფორმულების მნიშვნელოვანი რიცხვი, ასევე საერთო მოტივები და სხვა სტრუქტურული ელემენტები ტექსტებისთვის, რომლებიც თითქოს ტრადიციულია წმინდანთა ცხოვრებისათვის.

კანონზე და ნიმუშებზე, როგორც აგიოგრაფიული ტექსტის აგების ძირითად პრინციპებზე, ორიენტაცია, იწვევს უკვე არსებული ცხოვრებებიდან ხშირ დასესხებას ახლად განდიდებულ წმინდანთა ცხოვრების შექმნისას: ახალი წმინდანი ბაძავს თავის დიდ წინამორბედებს და ჰაგიოგრაფი ამოწმებს თავისი გმირის სიწმინდეს. ამავდროულად, კანონის ექსპოზიცია (ინსტალაცია), რომელიც ქრისტიანული ცნობიერების ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია, ვრცელდება როგორც მხატვრულ რეალობაზე, ისე ისტორიულზე: შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არა მხოლოდ ჰაგიოგრაფი ადარებს თავის გმირს ეკლესიის მიერ განდიდებულ სხვა წმინდანებს (აგიოგრაფიული კანონის მიხედვით), არამედ თავად ასკეტიც, წმინდანიც (მოწამე-მარტვილი ან ცხოვრებამოქალაქობის გმირი) ცხოვრებაშიც ცდილობდა დამსგავსებოდა განდიდებულ წმინდანს. ჰაგიოგრაფიაში გმირებისა და მოვლენების გამოსახულების განზოგადება არ ართმევს ცხოვრებას კონკრეტულ ისტორიულ მახასიათებლებს: ისინი აუცილებელი პირობაა წმინდათა შესახებ სანდო თხრობის შესაქმნელად, განსაკუთრებით, – სასწაულების აღწერისას.

საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ცხოვრების ამსახველი ტექსტების სრული სქემა გულისხმობს მასში სამი კომპონენტის – წინასიტყვაობის, ძირითადი ნაწილის და დასკვნის არსებობას.

წინასიტყვაობა, როგორც წესი, მოიცავს მთელ რიგ ტიპურ თემებს, მოტივებსა და ფორმულებს, რომლებიც საერთოა ცხოვრების ქვეყანრის ძეგლების უმეტესობისთვის: უპირველესად, ესაა წმინდანის ცხოვრების დაწერის მოტივის დასაბუთება ჰაგიოგრაფის მიერ, რასაც ხშირად მიმართვის ფორმა აქვს (*causae scribendi*); აქ იკვეთება ავტორის თვითშეფასებაც. ფორმულა მდგრადია, ჰაგიოგრაფი უჩივის წმინდანის ყველა სათნოებისა და ღვაწლის დათვლის შეუძლებლობას და გვამღვებს დაპირებას, რომ აღწერს „მრავლისგან მცირეს“ (*ex pluribus pauca*), სთხოვს მკითხველს, არ გაკიცხოს და შეუდოს (გავიხსენოთ გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების ან აბოს წამების ამსახველი ტექსტები). ავტორი ითხოვს პატიებას წმინდანის ცხოვრების არა ჯეროვანი აღწერის გამო, ხშირად შეიძლება შეეხოს იმ შედეგთა განმაზოგადებელ საკითხებს, რაც შედეგად მოჰყვება წმინდანის ღვაწლს (მაგ. მფლობელთა ამის ჟამისაგან დაბეჩავებული ქართლის რწმენაში განმტკიცება-გამლიერების აუცილებლობა, რაც შედეგად მოჰყვება აბოს ღვაწლს, ქრისტიანული დოგმატის დებულებების გამოკვეთა, წარსული დროის წმინდანთა განდიდება, ახლად განდიდებული მოწამის ან მოღვაწის კანონიზების დასაბუთება და ა.შ.

წმინდანის ცხოვრების თხრობა, ცხადია, წარმოადგენს ძირითად შინაარსს ცხოვრებებისა, რომელნიც ასევე აგებულია გარკვეული ნიმუშით, რომელიც საერთოა როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური ქრისტიანული ტრადიციებისთვის (თავის მხრივ, რაც საერთოა როგორც ბიზანტიური, ასევე ქართული ჰაგიოგრაფიისთვის). ასკეტის ბიოგრაფია ჩვეულებრივ იწყება მოთხრობით მისი ღვთისმოსავი მშობლების შესახებ, ხოლო წმინდანის მამისა და დედის მიერ მრავალი ნიჭით დაჯილდოებული გმირის მახასიათებლები არა მხოლოდ ქმნის მისი ღვთისმოყვარე მშობლების გამოსახულებას, არამედ წინასწარმეტყველებს მის მომავალ სათნოებებსაც (ბიზანტიელ მოწამეებში, პირიქით, ასკეტის მშობლები ხშირად ბოროტი წარმართები არიან, მაშინ, როცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველ მოწამეებში ანტაგონისტები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დამპყრობლების ან მოღალატეების სახით არიან წარმოჩენილნი). გმირის დაბადებას ხშირად წინ უსწრებს ღვთაებრივი ნიშნები, რომლებიც მიუთითებს მის რჩეულობასა და ღვთის ერთგულებაზე. წმინდანის ბავშვობას ასევე ახასიათებს სტაბილური მოტივები: ჩვილობიდანვე ღვთისთვის სასიამოვნო ცხოვრების სურვილი, საბავშვო თამაშებზე უარის თქმა, წერა-კითხვის მარტივად სწავლა (უფრო იშვიათი ვარიანტია წერა-კითხვის უუნარობა). წმინდანის ასკეტიზმის აღწერა აგებულია მისი

სიწმინდის განმსაზღვრელი დიფერენცირებული წოდებების შესაბამისად (რანგის შესაბამისი ტერმინოლოგიით: მაგ. ღირსი, სანატრელი, ნეტარი, მოციქულთა სწორი და ა.შ.), ე.ი. ტერმინოლოგიითვე განსაზღვრულია, რომელი რანგის წმინდანს ეკუთვნის კონკრეტული მოღვაწე (ეს არაა უმნიშვნელო ფაქტორი, რადგან რანგის მიხედვით განსხვავებულია წმინდანთა ლიტურგიკული მსახურებაც); თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი ქართულ ტექსტებში მკაცრი დიფერენცირება არ გვხვდება. შესაძლოა, ერთგვარი ტერმინოლოგია და ტექსტის სტრუქტურული ელემენტები შეგვხვდეს მოციქულთა სწორის (განმანათლებლები), წმიდა მამათა, კეთილშობილ მამათა (მეფეები, დასავლური ტრადიციით), ღვთისათვის წმინდა სულელთა, მართალთა ცხოვრება-წამებების აღწერისას. წმინდანის ღვაწლისა და სასწაულების თხრობა ტრადიციულად მთავრდება მისი რეალური და რეალისტური სიკვდილის გადმოცემით, რის შემდეგაც, როგორც წესი, ავტორი იხსენებს გმირის სიკვდილის შემდგომ სასწაულებს, რასაც შეიძლება მოჰყვეს ქება. ზოგჯერ სასწაულების შესახებ მოთხრობები, ისევე, როგორც წმინდანის დოქსოლოგია, რომელიც ავსებს ჰაგიოგრაფიას, შეიძლება დაიყოს დამოუკიდებელ ნაწარმოებებად – გადმოცემები წმინდანთა შესახებ (მაგ. წმინდა გიორგის ან მაქსიმე აღმსარებლის შესახებ არსებული გადმოცემები) და ქება. ჰაგიოგრაფიის ჟანრის ისტორიულმა განვითარებამ განაპირობა მისი სხვადასხვა შიდაჟანრული სახეობების ჩამოყალიბება. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციულ ცხოვრებასთან ერთად, გაჩნდა წმინდანთა „ხალხური“ ცხოვრებებიც (მკაფიო მაგალითად წმინდა ნიკოლოზი გამოგვადგება), რომელთა მთავარი მახასიათებელია ლეგენდური და ფოლკლორული მოტივების აქტიური გამოყენება.

მოწამეობა არის შეგნებული და ნებაყოფლობითი სიკვდილი ქრისტიანული სარწმუნოების დამტკიცების სახელით. ქრისტეს ღვაწლის მიდევნება არის მოტივი, რომელიც მოგვიანებით გახდა ჰაგიოგრაფიული ტექსტების, როგორც ჟანრის იდეოლოგიურ-მხატვრული და დომინანტური განმსაზღვრელი (დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენება ტერმინი *imitatio Christi*, რომელსაც ქართველი მკვლევრებიც იყენებენ). სიკვდილის წინ წმინდანის ბოლო ფრაზა ხშირად არის ლოცვა უფლისადმი მტანჯველთა შენდობისთვის. ჰაგიოგრაფი ხშირად ჯვარცმული ქრისტეს სიტყვებს იხსენებს: „მამაო! მიუტევე მათ, რამეთუ არ იციან, რას სჩადიან“ (ლუკა 23:34; მდრ. მათე 5:44). ბიბლიური მოდელი ასეთ ეპიზოდებში შეიძლება იყოს უმთავრესი. სიკვდილის წინ წმინდანთა მიერ მაცხოვრის სიტყვების გამეორება ფართოდ იყო გამოყენებული ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში: „მამაო, შენს ხელს ვაბარებ ჩემს სულს“ (ლუკა 23:46).

ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოდგენილია თარგმნილი და ორიგინალური თხზულებებით, შესრულებული მარტიოლოგიის (მოწამეობის) და ცხოვრება-მოქალაქობის ქვეჟანრებში. ჩვენამდე მოღწეულ ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა სამი სახისაა: კიმენური (ორიგინალი), მეტაფრასტული (შესწორებული ორიგინალი ვერსია) და სინაქსარი (მოკლე ვერსია მსახურებაზე წასაკითხად). I. ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ორიგინალური მოწამეობრივი ჟანრი არაერთი დეტალით განსხვავდება ბიზანტიური პირველადი წყაროსგან. ბიზანტიური მოწამეობა წარმოიშვა და განვითარდა რომის იმპერიაში ქრისტიანობასა და წარმართობას შორის შინაგანი დაპირისპირების შედეგად, რაც აისახა ქრისტიანი მოწამეების მიერ სარწმუნოებისთვის სიკვდილით დასჯილთა ქმედებების აღწერაში. ეს ტექსტები შეიქმნა ქრისტიანობის ბიზანტიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე პერიოდში (IV საუკუნის I ნახევარი). ქართული მოწამეობა წარმოიშვა V საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოს ნათლობიდან 150 წლის შემდეგ, ქრისტიანულ და არა წარმართულ გარემოში, მათი გმირები იყვნენ ზოროასტრიზმის (ირანი) და ისლამის (არაბული) ბატონობის პერიოდში დატანჯული ქრისტიანები.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული მოწამეობა ბიზანტიური ლიტერატურის გავლენის ქვეშ იყო, იგი დაშორდა თავდაპირველი წყაროს სხვადასხვა ფორმულას და ასახა ეროვნული, საკუთრივ ქართული მახასიათებლები. ქართული ჰაგიოგრაფიის და განსაკუთრებით მოწამეობრივი ჟანრის ნაწარმოებების ცენტრში, ქრისტიანული მცნებების უკომპრომისო დაცვასთან ერთად, დგას საქარ-

თველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის იდეა: ამ ნაწარმოებების გმირებისთვის ქრისტიანული სარწმუნოების დაცვა განუყოფლად არის დაკავშირებული ქვეყნის მთლიანობის დაცვასთან. ქართული მოწამეობა აქტუალურია ქრისტიანობის მიღების ისტორიის პირველი საუკუნეებიდან მე-18 საუკუნემდე. მოწამეობის ამსახველ ქართულ ტექსტთა უმეტესობას, ბიზანტიურისგან განსხვავებით, მეტაფრასული პარალელური ტექსტები არ გააჩნია.

მოწამეთა ღვაწლის ამსახველი ტექსტები იყოფა 3 რედაქციად: საქართველოში ზოროასტრული (მაზდეანური) ირანის ბატონობის პერიოდის მოწამეებზე შექმნილი შრომები (VII საუკუნემდე); არაბული (VIII საუკუნის შემდეგ) და სპარსული (XVII-XVIII სს.) (ანუ ისლამური) ხანის ტექსტები. პირველ ჯგუფში შედის წამებები წმ. შუმანიკისა (†475), რაჟდენ პირველმოწამისა (†457), ევსტათი მცხეთელისა (†589 წ.), წმ. აბიბოს ნეკრესელისა (VI სკ.-ის მე-2 ნახევარი), რომლებიც შემონახულია გვიანდელ ხელნაწერებში (ძირითადად, X საუკუნის შემდეგ), ქართული სალიტერატურო ენისა და მართლწერასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის (ხანმეტობა-ჰემეტობა) ცვლილების შედეგად მათი პალიმფსესტებად გამოყენების გამო. X საუკუნეში საქართველოში დაიწყო ქვეყნის გაძლიერების პროცესი. XI-XII საუკუნეებში, ქართული სახელმწიფოებრიობის აყვავების პერიოდში, მოწამეობრივი სიკვდილის არც ერთი შემთხვევა არ გვქონია. მე-13 საუკუნიდან XVII-XVIII საუკუნეებამდე, როდესაც დაიწყო და გაგრძელდა ქვეყნის დაქუცმაცებისა და ცალკეულ სამეფოებად და სამთავროებად დაყოფის პროცესი, განახლდა მუსლიმთა შემოსევები, რამაც გამოიწვია ქრისტიანთა მოწამეობრივი სიკვდილის ახალი შემთხვევები. XVII-XVIII სს.-ში, აღმოსავლეთ საქართველოში მუსლიმ-სპარსელთა ბატონობის პერიოდში, მოწამეობრივად აღესრულნენ ქართველი მთავრები, მეფეები და დედოფლები: მეფე ლუარსაბ (†1622), დედოფალი ქეთევან († 624 წ.), ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარი (†1661 წ.). მე-16 საუკუნიდან ჰაგიოგრაფია, როგორც ჟანრი, თანდათან კარგავს თავის თვისებებს, რამდენადაც მოწამეობა იწერება სხვადასხვა ლიტერატურული ფორმით (მაგალითად, თეიმურაზ მეფის „წამება ქეთევან დედოფლისა“ პრაქტიკულად კანონიკური ჰაგიოგრაფიაა, თუმცა ლექსის სახით დაიწერა).

II. ცხოვრებათა ქვეყანრის ჰაგიოგრაფია ქართულ საეკლესიო მწერლობაში წარმოიშვა საქართველოში ბერმონაზვნობის გაჩენისთანავე (VI ს.). ლოკალურ-სივრცული და ქრონოლოგიური პრინციპების მიხედვით, ნაწარმოებები იყოფა 3 ჯგუფად: ა. აღმოსავლეთ საქართველოში ასურელი მამების მიერ დაარსებულ სამღვდელო (მარტოდმყოფი) ტიპის მონასტრებში (შიომღვიმე, გარეჯი, ალავერდი, ზედაზენი და სხვ.) შექმნილი ცხოვრებები; ბ. სამხრეთ საქართველოში ქართველი ბერების მიერ დაარსებულ საერთო მონასტრებში (ხანძთა, ოშკი, შატბერდი და სხვ.) შექმნილი ცხოვრებანი; გ. საზღვარგარეთის ქართულ მონასტრებში (პალესტინა, სინაი, შავი მთა, ათონი) შექმნილი ცხოვრებანი, რომელთა ლიტერატურული და მთარგმნელობითი საქმიანობა მიმართული იყო ქართული და კონსტანტინოპოლის ეკლესიების ტრადიციებისა და ღვთისმსახურების შედარებისკენ.

III. X საუკუნის მე-2 ნახევარში ბიზანტიაში ჩამოყალიბებულმა მეტაფრასულმა ლიტერატურამ სათანადო ასახვა ვერ ჰპოვა ქართულ ჰაგიოგრაფიაში, სადაც აქცენტი კეთდებოდა არა ენის სტილისტურ სრულყოფაზე, არამედ მკითხველისთვის წყაროს უფრო გასაგებ სტრუქტურულ და კომპოზიციურ დამუშავებაზე. მაგალითად, წმიდა ნინოს კიმენური ცხოვრების ყველაზე ადრეული მეტაფრასტული რედაქცია მე-11 საუკუნეში შეიქმნა და შევიდა ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრებაში“ სათაურით „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა სრულიად ქართლისა ჩვენის მიერ წმიდა და ნეტარ თანასწორ მოციქულთა დედა ნინოს მიერ“. ილარიონ ქართველის ცხოვრება დამუშავდა XI საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიაში გიორგი მთაწმინდელის მოწაფის, იერომონაზონ თეოფილეს მიერ და მიჩნეულია ბიზანტიურ მეტაფრასულ ცხოვრებასთან უფრო ახლო რედაქციად, ვიდრე წმინდა ნინოს ცხოვრება. ქართულად თარგმნისას თეოფილემ შეცვალა ორიგინალის მარტივი ენა, გამოიყენა მეტაფორები და რიტორიკული ფიგურები, დაამატა ლოცვითი ჩანარტები ჩანართები და ტექსტი უფრო ვრცელი გახდა. იოანე ზედაზნელის ცხოვრების I

მეტაფრასული რედაქცია სავსეა ცხოვრების ამსახველი დეტალებით, დოგმატური ჩანართებით, შაბლონური ეპიზოდებით და წინ უძღვის შესავალი, რომელიც მიუთითებს მე-2 რედაქციის დაწერის მიზეზზე. დამახასიათებელია, რომ ქართველმა მთარგმნელებმა საგრძნობლად გააფართოვეს ტექსტი დამატებითი წყაროებიდან და შეიტანეს ცვლილებები ნაწარმოების კომპოზიციაში (მათ შორის, ექვთიმე ათონელმა). განსხვავებული მიდგომა ახასიათებს გიორგი ათონელს და განსაკუთრებით შავი მთის, გელათის და იყალთოს ლიტერატურული სკოლების წარმომადგენლებს.

მაშასადამე, რომ შევაჯამოთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ჰაგიოგრაფიული კანონი თითქმის ყველა ზოგადი ნიშნით ჰგავს ბიზანტიურს, თუმცა კონტექსტებიდან გამომდინარე, განსხვავდება თავისი განსაკუთრებული და ეროვნული მახასიათებლებით მისგან.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- ახალი აღთქმა. [https://www.orthodoxy.ge/tserili/akhali\\_agtqma/sarchevi.htm](https://www.orthodoxy.ge/tserili/akhali_agtqma/sarchevi.htm)
- გაბიძაშვილი, ე. (2011). შრომები, ტ. III, თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
- გრიგოლაშვილი, ლ. (1983). დროისა და სივრცის პოეტიკისათვის ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიაში, ივირონი 1000. თბილისი.
- კეკელიძე, კ. (1960). ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 6, თბილისი: თუ-ს გამომცემლობა.
- ჩიკვაძე, ე. (2009). მიქაელ მოდრეკილის ნათლისღების საგალობელი, თბილისი.
- ჭელიძე, ე. (2010). <http://www.ambioni.ge/saeklesio-galobis-istoriuli-ganvitareba-saqartvelosiActaSanctorum>: <https://about.proquest.com/en/products-services/acta/>
- Афиногенов Д. Е. Житийная Литература. <https://www.pravenc.ru/text/182317.html>
- Руди Т. Р. Топика Житий. [http://lib2.pushkinskijdom.ru/Media/Default/PDF/Rusagiografia.%20%D0%A2.%201/%D0%A0%D1%83%D0%B4%D0%B8\\_59-101.pdf](http://lib2.pushkinskijdom.ru/Media/Default/PDF/Rusagiografia.%20%D0%A2.%201/%D0%A0%D1%83%D0%B4%D0%B8_59-101.pdf)

#### References:

- Afinogenov D. Ye. Zhitiynaya Literatura. <https://www.pravenc.ru/text/182317.html>
- Akhali Aghtkma. [New Testament]. [https://www.orthodoxy.ge/tserili/akhali\\_agtqma/sarchevi.htm](https://www.orthodoxy.ge/tserili/akhali_agtqma/sarchevi.htm)
- Ch'elidze, E. (2010). <http://www.ambioni.ge/saeklesio-galobis-istoriuli-ganvitareba-saqartvelosiActaSanctorum>: <https://about.proquest.com/en/products-services/acta/>
- Chik'vaidze, E. (2009). Mikael Modrek'ilis natlisghebis sagalobeli. [Mikael, Odrekil's Epiphany Hymn]. Tbilisi.
- Gabidzashvili, E. (2011). Sromebi.T'. [Works, Vol. III]. Tbilisi: khelnats'erta erovnuli tsentri.
- Grigolasvili, L. (1983). Droisa da sivrtsis p'oet'ik'isatvis dzvel kartul himnografiashi. Ivironi 1000. [For the Poetics of Time and Space in Ancient Georgian Hymnography, Iviron 1000]. Tbilisi.
- K'ek'elidze, K'. (1960). Et'iudebi dzveli kartuli lit'erat'uris ist'oriidam. T'. 6. [Etudes on the History of Ancient Georgian Literature, Vol. 6]. Tbilisi: TSU-s gamomtsemloba.
- Rudi T. R. Topika Zhitiy. [Topics of Lives]. [http://lib2.pushkinskijdom.ru/Media/Default/PDF/Rusagiografia.%20%D0%A2.%201/%D0%A0%D1%83%D0%B4%D0%B8\\_59-101.pdf](http://lib2.pushkinskijdom.ru/Media/Default/PDF/Rusagiografia.%20%D0%A2.%201/%D0%A0%D1%83%D0%B4%D0%B8_59-101.pdf)